საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ლიბერთი ბანკის საკუთრებაში არსებულ ფართში კარების ღიობის რეკონსტრუქციის შესახებ

თბილისი
2018 წ

შპს საქართველოს ტექნიკური ჯგუფი

LTD GEORGIAN TECHNICAL GROUP

საიდენტიფიკაციო კოდი 200236707

Phone: 790 22 23 45
Mob. 595 22 23 45

Fax: (995 32) 63 01 71
E-mail:georgiantechgroup@gmail.com

-- -------- 2018 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ლიბერთი ბანკის საკუთრებაში არსებულ ფართში კარების ღიობის რეკონსტრუქციის შესახებ

ექსპერტი: გ. ნოზაძე

თბილისი
2018 წ

2018 წლის ნოემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, ლიბერთი ბანკის საკუთრებაში არსებულ ფართში კარების ღიობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა და ღიობის გაფართოების ზეგავლენა საცხოვრებელი სახლის საერთო მდგრადობაზე.

საცხოვრებელი სახლის შენობა ცხრასართულიანია. შენობას გააჩნია სარდაფი. შენობა წარმოადგენს ასაწყობი რკინაბეტონის კარკასულ კონსტრუქციას, რკინაბეტონის საკედლე პანელებით და სილიკატური აგურის შევსებით. შენობა დაფუძნებულია ბეტონის ლენტურ საძირკველზე. შენობის სართულშუა გადახურვები მოწყობილია ღრუტანიანი რკინაბეტონის ფილებით. შემოწმების მომენტისათვის შენობის საერთო მდრადობა დამაკმაყოფილებელია.

შემოწმების მომენტში, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე სარეკონსტრუქციო კარების ღიობის ზომაა 0.90X2.40მ. აღნიშნული კარების ღიობი მოწყობილია შებობის განივად მდებარე კედელში, რომელიც წარმოადგენს მონოლითურ არაარმირებულ 0.4 მ სიგანის ბეტონის კედელს. მოცემულ კედელში განთავსებულია სავენტილაციო არხები, მის ზედა სართულებზე დამონტაჟებულია საკედლე პანელები სავენტილაციო ხვრელებით. კედლის ბეტონის მარკაა B-15.

ღიობი რეკონსტრუქციის შემდეგ უნდა გახდეს 3.0X2.2მ. აღწერილ ბეტონის კედელში მოცემული ზომების ღიობის მოწყობა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გათვალისწინებით:

- ღიობის გაფართოების სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს ბეტონის კედლის გამაგრება ლითონის ჩარჩოს საშუალებით;
- ბეტონის დაშლისას გამოყენებული უნდა იქნეს ალმასის პირიანი საჭრისი ბეტონის კედელში ლითონის ჩარჩოსათვის ღარების ამოსაღებად;
- ლითონის ჩარჩოს მოწყობის შემდეგ უნდა მოხდეს ღიობის გაფართოება;

- სამუშაოები უნდა წარიმართოს სამშენებლო და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით წინასწარ მომზადებული პროექტის შესაბამისად;
- სამუშაოები უნდა წარიმართოს ინჟინერ კონსტრუქტორის ზედამხედველობით.

<u>დასკვნა:</u>

1. *ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა შემოწმების ეტაპზე დამაკმაყოფილებელია;*
2. *საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე შენობის განივად მდებარე ბეტონის კედელში არსებული კარების ღიობის გაფართოება მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია და ზეგავლენას არ ახდენს შენობის საერთო მდგრადობაზე.*

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“-ს

დირექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,

ექსპერტი /გ. ნოზაძე/

ფოტოფიქსაცია



